ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №12

19.05.2022 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე), ვლადიმერ ბოჟაძე, ლევან ჯაფარიძე, ნინო ვარდოსანიძე, ლევან აბაშიძე, ალექსანდრე ხუჯაძე, სალომე კობალაძე, ვახტანგ სურგულაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. **საბა ბუაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **გიგა გიგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **გიორგი ვახტანგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. **კახაბერ გულედანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი;
4. **ზურაბ მამსიკაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე;
5. **ზაზა კვიციანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე;
6. **დავით ფაჩულია** - შპს „თბილსერვის ჯგუფის" დირექტორი;
7. **დავით ჩანქსელიანი** - შპს „თბილსერვის ჯგუფის" წარმომადგენელი;
8. **ზაზა ბერიშვილი** - შპს „თბილსერვის ჯგუფის" წარმომადგენელი.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიშის მოსმენა

/**მომხსენებელი: გიგა გიგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი/

2. შპს „თბილსერვის ჯგუფის" მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიშის მოსმენა

/**მომხსენებელი: დავით ფაჩულია** - შპს „თბილსერვის ჯგუფის" დირექტორი/

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიშის მოსმენა

/**მომხსენებელი: კახაბერ გულედანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი
თანამომხსენებელი: ზურაბ მამსიკაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ნიკოლოზ კახეთელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გიგა გიგაშვილმა.

მომხსენებლის (გ. გიგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა 2021 წელს განახორციელა შემდეგი სამუშაოები:

- დედაქალაქის მასშტაბით 17 927 ხე, 34 513 ძირი ბუჩქი, 15 000 ბალახოვანი მცენარე დაირგო (სამსახურის მიერ 2021 წელს შეძენილ იქნა 6708 ხე, 37475 ბუჩქი, 2632 ბალახოვანი მცენარე და 1500 მცირე ზომის დეკორატიული ბუჩქოვანი მცენარე).
- თბილისის მასშტაბით პარკებსა და გამწვანებულ თარგებში 212 000 კვმ. დაითესა და 11000 კვმ. დაიგო ბალახი.
- მოიჭრა 10 900 ძირი ხმელი და დაავადებული ხე.
- გამწვანების თარგებში 12 147 მ3 ნოყიერი მიწა შევიდა .
- დაირგა 90 000 ძირი ზამთრის და 160 000 ძირი ზაფხულის, სხვადასხვა ჯიშის, სეზონური ყვავილი.
- 26 მისამართზე მოეწყო სარწყავი სისტემები.
- მერიის შპს ,,ეკოსერვის ჯგუფმა" რეაბილიტაცია ჩაუტარა ჯამში 57 შადრევანს.

2021 წელს, ქ. თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარედ, ზ. წერეთლის მონუმენტის - „საქართველოს მატიანე" მომიჯნავედ არსებულ 6.45 ჰა ფართობზე განხორციელდა მწვანე ნარგავების აღდგენა-გაშენების სამუშაოები; დაირგა სხვადასხვა სახეობის 10765 (1.5 მ) სიმაღლის ნერგი, დასარგავ ორმოებში შეტანილ იქნა 180 კბ.მ. მიწის ნოყიერი ნაზავი. განხორციელდა ამ ნერგების მოვლა პატრონობა - მორწყვა, ჯამების მოწყობა-გაფხვიერება, სასუქის შეტანა.

ტყის ბუნებრივი განახლების ხელისშეწყობის სამუშაოები განხორციელდა 12.8 ჰა ფართობზე: წყნეთის გზატკეცილის მიმდებარედ 6 ჰა ფართობზე და წყნეთის სატყეოში, მანგლისის გზატკეცილის მიმდებარედ 6.8 ჰა ფართობზე. ტერიტორიებზე განთავსდა საინფორმაციო დაფები, საქონლისაგან დაცვის მიზნით მოეწყო ღობე, ფართობი გაიწმინდა ეკალ-ბარდებისაგან და განხორციელდა ნიადაგის აჩიჩქვნა.

რეაბილიტაცია ჩაუტარდა:

- ✓ **ვაჟა-ფშაველას გამზირზე არსებულ მარშალ გელოვანის სახელობის პარკს.** პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა მარშალ გელოვანის სახელობის პარკს, რომლის ფართობიც 6 000 კვადრატულ მეტრს შეადგენს. პარკში საბავშვო მოედანი და საფეხმავლო საფარი განახლდა. შეიცვალა არსებული პანდუსები და განთავსდა საბაღე ფურნიტურა. ამასთან, სასმელი წყლის სოკო, სარწყავი და განათების სისტემაც მოეწყო.

გარდა ამისა, სამუშაოების ფარგლებში, რეაბილიტირდა არსებული შადრევანი და მის მიმდებარედ დამატებით გამწვანებული თარგები მოეწყო, შესაბამისად მწვანე არეალის მოცულობაც გაიზარდა.

პარკში არსებული გამწვანებული თარგები ნოყიერი მიწის ნაზავით შეივსო, 3 548 კვადრატულ მეტრ ფართობზე ჰიდრო თესვის პრინციპით დაითესება ბალახი და 2 517 ძირი სხვადასხვა სახეობის ახალი მწვანე ნარგავი დაირგა.

✓ **რიგის პარკსა და ბულვარს.** რიგის პარკსა და მიმდებარედ არსებული ბულვარის საერთო ფართობი 5 ჰექტარს შეადგენს. რიგის პარკის რეაბილიტაცია სრულად განხორციელდა, რაც შეეხება რიგის პარკის მიმდებარედ არსებულ ერთ კილომეტრიან ბულვარს სამუშაოები ნაწილობრივ განხორციელდა.

ბულვარში, საბავშვო და სპორტული მოედნები, საბაღე ფურნიტურა, სასმელი წყლის სოკოები, ფანჩატურები, საფეხმავლო ბილიკები, განათების, ვიდეო მეთვალყურეობისა და სარწყავი სისტემები მოეწყო.

ტერიტორიაზე დამატებით გამწვანებული თარგები მოეწყო და გაიზარდა მწვანე საფარის მოცულობა. დაირგა 728 ძირი ხე და 486 ძირი ბუჩქი, 20 000 კვადრატულ მეტრ ფართობზე დაიგო და დაითესა ბალახი. ცენტრალურ ნაწილში, მედიათეკის მიმდებარედ განთავსდა მუსიკალური შადრევანი.

ბულვარის დარჩენილ 2 ჰექტარი ფართობის რეაბილიტაცია კი 2022 წელს დასრულდება, რომლის სავარაუდო ღირებულებაც 3 000 000 ლარს შეადგენს.

✓ **ვაკის პარკს (პროექტის განხორციელების პერიოდი: 2020 – 2021 წელი).** 2019 წელს განხორციელდა ვაკის პარკის წინასაპროექტო კვლევა და 34 ჰა-მდე ფართობზე არსებული ტერიტორია დამუშავდა ფუნქციური ზონირების რუკა, რომლის საფუძველზეც განხორციელდა პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

განახლდა ფურნიტურა, საფეხმავლო და საველოსიპედო ბილიკები, ასევე დამატებით მოეწყო შშმ პირთათვის ადაპტირებული ბილიკები. ტერიტორიაზე, საბავშვო და სპორტული მოედნები, ამფითეატრი, ფანჩატურები, საპიკნიკე ზონა მაგიდებითა და სკამებით, საზოგადოებრივი საპირფარეშოები, სასმელი წყლის სოკოები და ცხოველთა სასეირნო მოედანი მოეწყო.

პარკის ტერიტორიაზე, ასევე, ახალი სარწყავი, სანიაღვრე, კანალიზაციისა და ელექტრობის სისტემები მოეწყო.

ცენტრალურ ჩამოსასვლელთან ისტორიული შადრევანი პირვანდელი სახით აღდგა. არსებულ ადმინისტრაციულ შენობასა და კალათბურთის მოედანს ჩაუტარდა რეაბილიტაცია.

დენდროლოგიური კვლევის საფუძველზე სრულად განახლდა მცენარეული საფარიც. დაირგა სხვადასხვა სახეობის 22911 ძირი ბუჩქი და 1576 ძირი ხე. დამატებით ტერიტორიაზე დაირგა 6755 ძირი სხვადასხვა ჯიშის სეზონური ყვავილი. ამასთან, 87 290 კვადრატულ მეტრ ფართობზე დაითესა ბალახი ჰიდროთესვის პრინციპით.

✓ **დასრულდა ქ. თბილისში, ვარკეთილის II მ/რ-ში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩისა და რ. ხომლელის ქუჩის მიმდებარედ (ს/კ: №01.19.20.007.055;**

№01.19.20.002.088) არსებული პარკის რეაბილიტაცია (პროექტის განხორციელების პერიოდი: 2021-2022 წლები) - პროექტის ფარგლებში არსებული ბუნებრივი რესურსების, ხე-ნარგავების შენარჩუნებით და გარემოში მინიმალური ჩარევით შეიქმნა თანამედროვე სარეკრეაციო სივრცე შესაბამისი კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურით. პარკის ტერიტორია მოიცავს 3 ჰექტარს, რომელიც დაიყო პასიურ და აქტიურ დასვენების ზონად. მოეწყო მოსასვენებელი სივრცეები საჩრდილობლებით, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის განკუთვნილი საბავშვო მოედნები დატვირთული სათანადო ატრაქციონებით, სპორტული და სავარჯიშო მოედნები, ღია ამფითეატრი, შადრევანი, წყლის დასალევი შადრევნები, სკეიტ პარკი, გადმოსახედი ბაქანი, განახლდა არსებული საფეხმავლო ხიდი, ველობილიკი, ძაღლების სასეირნო და სავარჯიშო სივრცე, საზოგადოებრივი საპირფარეშო. პარკის ტერიტორია შეივსო ახალი ხე-მცენარეებით და მდელოს სახით გაჩნდა საპიკნიკე არეალები. პარკი გათვლილია ყველა ასაკობრივ ჯგუფზე და სრულადაა ადაპტირებული.

7 მისამართზე მოეწყო გზაგამყოფი კუნძულები:

- ორხევში, გ.მუხაძის და შ. ამირანაშვილის ქუჩის კვეთაზე;
- სავაჭრო ცენტრ „ისთ ფოინთის“ მიმდებარედ არსებული კუნძულები;
- დიღომში, ა.ბელიაშვილის და ჯ. ბალანჩინის ქუჩების კვეთა;
- გლდანში, ფეიქართა და მინდელის ქუჩების კვეთა (გლდანის ხიდები);
- „ვეფხი და მოყმის“ მონუმენტთან არსებული კუნძულები;
- დ.ალექსიძე და ს.თაყაიშვილის ქუჩების კვეთაზე არსებული გზაგამყოფი;
- ვაზისუბანში, პილდუსკის ქუჩაზე არსებული კუნძული.

არსებულ/ახლად მოწყობილ გზაგამყოფ კუნძულებზე მოეწყო სარწყავი სისტემა, ტერიტორიებზე შევიდა ნოყიერი მიწის ნაზავი, დაითესა ბალახი და დაირგა სხვადასხვა სახეობის მწვანე ნარგავები.

ზემოაღნიშნულის გარდა, მომხსენებელმა, ბ-ნმა გ. გიგაშვილმა ისაუბრა მიმდინარე პროექტებზეც და მაგალითად მოიყვანა **ზღვის უბნის პარკის მოწყობისა და ქ. თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე არსებული შადრევნებისა და კასკადის რეაბილიტაციის პროექტები.**

- **ზღვის უბნის პარკი, რომლის მოწყობაც დაიწყო 2020 წელს (პროექტის ხანგრძლივობა - 2020-2021-2022 წლები).** ტერიტორია, სადაც პარკის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს, წლების განმავლობაში იყო დაჭაობებული და დაბინძურებული, ფაქტობრივად ნაგავსაყრელადაც იყენებდა მოსახლეობა.

ზღვის უბნის ახალ პარკში, რომლის ფართობიც 22 ჰექტრამდეა, მოეწყობა სკეიტპარკი, სარბენი, სასეირნო და საველოსიპედო ბილიკები. ასევე, სპორტული და საბავშვო მოედნები. ტერიტორიაზე მოეწყობა კაფე, მედიათეკა, ბელვედერი და ძაღლების სასეირნო სივრცე.

ამასთან, ტერიტორიაზე გაკეთდება ორი ხელოვნური ტბა, რომელსაც ერთმანეთთან მდინარე დააკავშირებს. ასევე, მოეწყობა განათების სისტემა, სარწყავი სისტემა და ვიდეო მეთვალყურეობის სისტემა.

ტერიტორიაზე დაგეგმილია 4764 ძირი ხის, 820 ბალახოვანი მცენარისა და 4640 ძირი ბუჩქის დარგვა. ასევე, 55 600 კვადრატულ მეტრ ფართობზე დაითესება ბალახი. რეკრეაციული ზონის მოწყობასთან დაკავშირებით წინასაპროექტო სამუშაოები 2019 წელს განხორციელდა, რომელიც ასევე, ტერიტორიის გეოდეზიურ კვლევას მოიცავდა.

სამუშაოების დასრულება 2022 წლის 6 დეკემბრისთვის იგეგმება.

- **ქ. თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე არსებული შადრევნებისა და კასკადის რეაბილიტაცია (პროექტის ხანგრძლივობა - 2021-2022-2023 წლები).** პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს კასკადისა და შადრევნების პირვანდელი იერსახით აღდგენა. ამასთან, მთლიანად განახლდება წყალმომარაგების სისტემა. პროექტირებისას მოხდა კასკადის კონსტრუქციული მდგრადობის შესწავლა, ასევე მასალების გამოკვლევა და დაიგეგმა ზუსტად იმავე მასალებით მოპირკეთება.

ქალაქ თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიშის მოსმენის შემდეგ, სხდომა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

კითხვები დასვეს:

ბ-ნმა ლ. ბოჟაძემ - ვერის პარკის რეაბილიტაციის პროექტის, ასევე, ახალი პარკებისა და სკვერების მოწყობის შესახებ.

ბ-ნმა ვ. სურგულაძემ - დედაქალაქში წყლის, ჰაერისა და ნიადაგის ხარისხის, მისი კონტროლისა და მონიტორინგის შესახებ.

ს. ბუაძემ - ახალი სარეკრეაციო სივრცეების მატებისა და ამ მიმართულებით არსებული სტატისტიკის შესახებ.

დასმულ შეკითხვებს უპასუხა მომხსენებელმა, ბ-ნმა გიგა გიგაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ:

ვერის პარკის რეაბილიტაციის პროექტის ნაწილი უკვე დამუშავებულია. მისი განხორციელება, სავარაუდოდ, მომავალი, 2023 წლიდან დაიწყება. ასევე, 2023 წელს არის დაგეგმილი სამხედრო ქალაქის დასახლებაში, 13ჰა. ფართობზე პარკის მოწყობის სამუშაოების დაწყება.

დედაქალაქში წყლის, ჰაერისა და ნიადაგის ხარისხის, მისი კონტროლისა და მონიტორინგის შესახებ დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით, მომხსენებელმა, ბატონმა გიგა გიგაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული მიმართულებები ძირითადად განეკუთვნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სამინისტროს საქვეუწყებო სტრუქტურების კომპეტენციას. ბ-ნმა გ. გიგაშვილმა ისაუბრა სამინისტროს

შესაბამისი საქვეუწყებო სტრუქტურების საქმიანობაზე დედაქალაქში და მათთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

ბ-ნი ს. ბუაძის დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით, ბატონმა გ. გიგაშვილმა აღნიშნა, რომ 2019 წელს, დედაქალაქის ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიღებით, გამწვანებული ტერიტორიების მიმართულებით შეიცვალა მიდგომები: გაიზარდა სარეკრეაციო სივრცეები, მათი მოწყობის სტანდარტები, ასევე, სატყეო მასივებზე გავრცელდა სატყეო ზონა, განხორციელდა დედაქალაქის ტყის მასივების ინვენტარიზაცია. განხორციელდა ტყის მასივების (მაგ., წყნეთის, მანგლისის, კუს ტბის ფერდობის და სხვ.) გამოხშირვა, სანიტარული ჭრა, ახალი ხე-ნარგავების დარგვა და განხორციელდა სხვადასხვა საჭირო ღონისძიება.

ბატონმა გ. გიგაშვილმა ისაუბრა ახალი დიდი სარეკრეაციო პროექტების შესახებ და მაგალითად მოიყვანა ვარკეთილის ხევისა და ზღვის უბნის პარკების დაპროექტება-მშენებლობა.

კომისიამ ცნობად მიიღო ქალაქ თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - შპს „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა დავით ფაჩულიამ.

მომხსენებელმა ბ-ნმა დავით ფაჩულიამ ისაუბრა შპს „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ 2021 წლის განმავლობაში შემდეგი მიმართულებით განხორციელებული სამუშაოების შესახებ:

- **„თბილსერვის ჯგუფის“ ბალანსზე რიცხული 100-მდე სანიაღვრე (მათ შორის 52 მდინარის) კოლექტორის მდგომარეობასა და მათ მოვლა-პატრონობის თაობაზე.**
- **დედაქალაქში არსებული ხევების მდგომარეობასა და აღნიშნული ხევების დასუფთავების თაობაზე.**

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, მომხსენებლის, ბ-ნი დ. ფაჩულიას ინფორმაციით, თბილისში არსებული ხევების მოვლა-პატრონობა არ შედის „თბილსერვის ჯგუფის“ კომპეტენციაში, მაგრამ შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, მომეტებული რისკის (წყალმოვარდნა, ღვარცოფი, მეწყერი და სხვ.) თავიდან აცილების მიზნით ხევების გაწმენდის აუცილებლობიდან

გამომდინარე, სამსახური აღნიშნულ სამუშაოებს მაინც ახორციელებს, რაზეც იხარჯება როგორც ადამიანური, ასევე მატერიალურ-ტექნიკური რესურსი. შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ხელმძღვანელობამ ქალაქის მთავრობას მიმართა ინიციატივით, რათა დედაქალაქში არსებული ხევების მოვლა-პატრონობა ოფიციალურად გადავიდეს სამსახურის დაქვემდებარებაში.

- მუნიციპალური ნარჩენებისა (ნორიოს) და ასევე, ინერტული ნარჩენის (გლდანი) პოლიგონების შესახებ.

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიშის მოსმენის შემდეგ, სხდომა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

კითხვები დასვეს:

გ-ნმა ნ. კახეთელიძემ - მოქმედი და გაუქმებული კოლექტორების, ასევე, ნარჩენების განთავსების პოლიგონების მდგომარეობის, ნარჩენების სეპარირებისა და გადამუშავების შესახებ.

გ-ნმა ლ. ბოჟაძემ - არსებულ კოლექტორებზე სამშენებლო პროცესების ზემოქმედების, კოლექტორებზე შენობების განთავსების, ასევე, საბურავების ნარჩენების განთავსებისა და ასეთი ნარჩენის გადამუშავების შესახებ.

გ-ნმა ს. ბუაძემ - საცხოვრებელ უბნებში მუნიციპალური (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების შემკრები კონტეინერების განთავსების შესახებ.

ქ-ნმა ს. კობალაძემ - ტურისტულ უბნებში საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემკრები მცირე ზომის კონტეინერების (ურნების) შესახებ.

დასმულ შეკითხვებს პასუხი გასცეს შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ხელმძღვანელმა პირებმა (დ. ფაჩულია; დ. ჩანქსელიანი).

გ-ნმა დ. ფაჩულიამ აღნიშნა, დედაქალაქში ერთი გაუქმებული (დაუსრულებელი) კოლექტორია, რომელიც მდებარეობს დიღომში, ხოლო არსებული ყველა კოლექტორი მოქმედია.

სამშენებლო ნებართვის მოპოვების სტადიაზე ან მშენებლობის პროცესში, თუ გამოვლინდა, რომ ტერიტორიაზე არსებობს კოლექტორი, რომელიც ხელს უშლის მშენებლობას და მისი გადატანის გარეშე სამშენებლო პროცესი ვერ განხორციელდება, ასეთ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტის ინტერესი არ იკვეთება ან კანონმდებლობით შესაძლებელია გადატანა, დაინტერესებულ მხარეს (მიწის მესაკუთრეს ან/და მშენებლობის ნებართვის მომპოვებელს) ეკისრება ვალდებულება, კოლექტორი გადაიტანოს და დააერთოს საკუთარი ხარჯებით.

მუნიციპალური (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების შემკრები კონტეინერების საცხოვრებელ და ტურისტულ უბნებში განთავსების თაობაზე დასმულ კითხვებს უპასუხა გ-ნმა დ. ჩანქსელიანმა, რომლის ინფორმაციით, უბნებში შემკრები კონტეინერების განთავსება ხდება პრაქტიკიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, სპეციალურად

გამოყოფილ ტერიტორიებზე. ხოლო ტურისტულ უბნებში მცირე ზომის შემკრები კონტეინერების(ურნების) განთავსების საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ურნების შესყიდვა მიმდინარეობს და ეტაპობრივად ხდება ახალი ურნების დამატება და/ან ძველის ჩანაცვლება. ბ-ნმა დ. ჩანქსელიანმა ასევე ისაუბრა შემკრები კონტეინერების(ურნების) ვანდალიზმის ფაქტების შესახებ.

მუნიციპალური ნარჩენების, ასევე სამშენებლო ნარჩენების განთავსების პოლიგონების, ნარჩენების სეპარირებისა და გადამუშავების თაობაზე დასმულ შეკითხვას ამომწურავი პასუხები გასცეს ბ-ნმა დ. ფაჩულიამ და დ. ჩანქსელიანმა.

ბ-ნი დ. ჩანქსელიანის განმარტებით, სპეციფიკური ნარჩენების (მათ შორის საბურავების ნარჩენის) მართვის საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით (საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი", „საბურავების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის №325 დადგენილება). კანონმდებლობის თანახმად, ისეთი პროდუქტის მწარმოებელი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ექსპორტიორებიც და რეალიზატორებიც, ვალდებულნი არიან უზრუნველყონ პროდუქტისგან წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვება (მათ შორის, რეციკლირება) და გარემოსთვის უსაფრთხო განთავსება. ამ მიზნით, უნდა შეიქმნას ასოციაციები, რომლებიც გასწევენ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას არ განეკუთვნება საბურავების ნარჩენების შეგროვება.

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ - მუნიციპალური და სამშენებლო ნარჩენების პოლიგონების, ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და რეციკლირების თემებთან დაკავშირებით.

ბ-ნმა ლ. ბოჟაძემ და ბ-ნმა ვ. სურგულაძემ - თბილისში არსებული ხევების სისტემატური დასუფთავების შესახებ.

კომისიამ ცნობად მიიღო შპს „თბილსერვის ჯგუფის" მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში

სხდომის დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ზურაბ მამსიკაშვილმა.

მომხსენებლის (ზ. მამსიკაშვილი) მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, 2021 წელს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალურმა ინსპექციამ, კომპეტენციის ფარგლებში განახორციელა შემდეგი სამუშაოები:

გამოვლინდა და რეაგირება მოხდა აკუსტიკური ხმაურის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე. აკუსტიკური ხმაურის ძირითადი კერებია:

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში - აღმაშენებლის გამზირი; **მთაწმინდა-კრწანისი რაიონში** - პეტრიაშვილის ქუჩა (ღვინის ქარხანა), ახვლედიანის ქუჩა (ყოფილი პეროვსკაია); შარდენი; ტაბიძის ქუჩა, რუსთაველის გამზირი, აბანოს ქუჩა, ქიქოძის ქუჩა; **ვაკე-საბურთალოს რაიონში** - აბაშიძის ქუჩა, პოლიტკოვსკაიას ქუჩა, ფურცელაძის ქუჩა; ბალანჩივაძის ქუჩა, ვაჟა-ფშაველას გამზირი, ფალიაშვილის ქუჩა, პეკინის გამზირი, ჭავჭავაძის გამზირი; **გლდანი-ნაძალადევის რაიონში** - ცოტნე დადიანის ქუჩა, აგლაძის ქუჩა; **ისანი-სამგორის რაიონი** - არტურ ლაისტის ქუჩა (რესტორანი ასტორია), გაბრიელ სალოსის გამზირი.

აკუსტიკური ხმაური წყაროები:

<u>ბარ-რესტორნები</u> - მუსიკის მაღალი ხმა, სავენტილაციო და გამაგრილებელი აგრეგატების მუშაობით გამოწვეული ხმა.

<u>ქუჩის მუსიკოსები</u> - ღია სივრცეში დადგმული ხმის გამაძლიერებელი დინამიკებიდან გამომავალი ხმა.

<u>საწარმოები</u> - ღია სივრცეში მომუშავე დანადგარების, კერხერების, გენერატორების და სხვა ხელსაწყოებით გამოწვეული ხმაური

<u>მშენებლობა ღამის საათებში (23:00 – 08:00)</u> – სამშენებლო იარაღებით და ხელსაწყოებით გამოწვეული ხმაური

<u>ივენთები, გასართობი ცენტრები</u> - დინამიკებიდან გამომავალი მაღალი აკუსტიკური ხმა

<u>პიროტექნიკა (ღამის საათებში 23:00 – 08:00)</u> – პიროტექნიკით გამოწვეული ხმა

ქმედება - შედეგი

სამართალდარღვევის ფაქტები ვლინდება ყოველდღიურად, ხდება შესაბამისი რეაგირება, ობიექტის ან სუბიექტის მიმართ დგება სამართალდარღვევის ოქმები, ეძლევათ მითითება გამოვლენილი დარღვევის აღკვეთის ან გამოსწორების კუთხით.
2021 წ. მდგომარეობით სამართალდარღვევის ფაქტები შემცირებულია 2019-2020 წლებთან შედარებით, რაც განპირობებულია ყოველდღიური მონიტორინგის შედეგად.

მწვანე ნარგავების უკანონო ჭრები-გამოვლენილი დარღვევები და სამართალდამრღვევი პირები:

გამოვლინდა მწვანე ნარგავების დაზიანების, თვითნებური გაჩეხის ან/და გადატანის, მწვანე ნარგავების მოვლა-აღდგენის წესების დარღვევის ფაქტები, სულ გამოვლინდა **161** სამართალდარღვევა.

მწვანე ნარგავების უკანონო ჭრაზე გამოვლენილი დანაშაულიდან:

- **109** ფაქტზე შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი და ზიანი დაეკისრა **59** პირს;
- **45** ფაქტზე გადაიგზავნა საქმე საგამოძიებო ორგანოში;
- **7** ფაქტზე ვერ დადგინდა სამართალდამრღვევი პირი (საქმის მასალების გამოთხოვის და პიროვნების იდენტიფიცირებისთვის გადაიგზავნა საპატრულოში. სამართალდამრღვევები ვერ დადგინდა).

მწვანე ნარგავებზე გამოვლენილი დარღვევები და დაზიანებები (109 ფაქტიდან):

- ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მწვანე ნარგავების თვითნებური გაჩეხა - **38**;
- მწვანე ნარგავების მოვლა-აღდგენის წესების დარღვევა - **7**;
- მწვანე ნარგავების თვითნებური გაჩეხა - **60**;
- მწვანე ნარგავების დაზიანება - **4**.

მომხსენებელმა, ბ-ნმა ზ. მამსიკაშვილმა ისაუბრა მწვანე ნარგავების მოჭრისა და დაზიანების სამართალდარღვევის გამოვლენის პროცედურებზე. დამატებით ისაუბრა ისეთ სამართალდარღვევებზე, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ასეთ შემთხვევებში, საქმის მასალები იგზავნება შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტში შემდგომი რეაგირებისთვის.

შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებით, ბ-ნი ზ. მამსიკაშვილის ინფორმაციით 2021 წელს შემოსული განცხადებების საფუძველზე, ექსპლუატაციაში მიღებულია - 661 ობიექტი, უარი ეთქვა - 412 ობიექტს, განუხილველი დარჩა - 51 განცხადება (**სულ:** განხილული იყო **1124** განცხადება). ექსპლუატაციაში მიღება გულისხმობს ობიექტის შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობის დადგენას, შესაბამისად პროექტის დარღვევით ნაწარმოები სამუშაოები, რომლებიც კომპლექსურია და მათ შორის რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს კ3 კოეფიციენტის დარღვევას, წარმოადგენს უარის თქმის საფუძველს.

გარდა ამისა, ე.წ. „ამნისტიის ფარგლებში", კ3 კოეფიციენტის დარღვევა, ისევე, როგორც სხვა პროექტის დარღვევები (გარდა საკადასტრო საზღვრების დარღვევისა) წარმოადგენს დასაშვებ ცვლილებას, რომელიც იძლევა შესაძლებლობას ობიექტი განხილულ იქნეს და მიღებულ იქნას ექსპლუატაციაში, თუ დააკმაყოფილებს კანონით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებს.

ე.წ. „სამშენებლო ამნისტიის" საფუძველზე: მიღებულია - 100 ობიექტი; უარი ეთქვა - 27 ობიექტს; შუალედური პასუხი გაეგზავნა - 145 ობიექტს; განუხილველი დარჩა - 52 განცხადება.

გარემოს ნარჩენებით დანაგვიანების ფაქტებთან დაკავშირებით, მომხსენებლის ინფორმაციით: 2021 წლის განმავლობაში, პარკებში, სკვერებში, დასასვენებელ ზონებში დანაგვიანების ფაქტებზე შედგა **213 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა** ოქმი;

აქედან: კერძო და სახელმწიფო მიწის ნაკვეთებზე დანაგვიანება: **806** ოქმი; ამტვერებადი მასალის ტრანსპორტირება გადაუხურავად: **321** ოქმი (93 600 ლარი).

გარდა ზემოაღნიშნულისა ხევების დანაგვიანებაზე მოხდა შესაბამისი რეაგირებები, კერძოდ:

2020 წელს ხევების დანაგვიანებასთან დაკავშირებით შედგა 15 ოქმი.

2021 წელს ხევების დანაგვიანებასთან დაკავშირებით შედგა **10** ოქმი (40 000 ლარი). **დარღვევის კერა:** მდინარე მტკვრის მიმდებარე ტერიტორია, ვერეს ხეობა, თბილისის ზღვის მიმდებარედ.

„დიღმის ჭალების" დანაგვიანების ფაქტებთან დაკავშირებით, ბ-ნი ზ. მამსიკაშვილის ინფორმაციით, აღინიშნება მომართვიანობისა და სამართალდარღვევების კლების ტენდენცია, ვინაიდან ტერიტორიაზე აქტიურად ხორციელდება როგორც მორიგე ჯგუფებით, ასევე ფოტოხაფანგებით კონტროლი, აგრეთვე პერიოდულად სუფთავდება დანაგვიანებული მიწის ნაკვეთები.

2020 წელს, მუნიციპალურ ინსპექციაში შევიდა 24 ცხელი ხაზი და 13 წერილი - „დიღმის ჭალების" ტერიტორიაზე გამოიწერა 44 ოქმი.

2021 წლის მონაცემებით, მუნიციპალურ ინსპექციაში შევიდა 5 ცხელი ხაზი და 8 წერილი დიღმის ჭალების ტერიტორიაზე გამოიწერა 6 ოქმი (42 500 ლარი).

ხაზობრივი ნაგებობების მონიტორინგის თემასთან დაკავშირებით, მუნიციპალური ინსპექციის ხელმძღვანელი პირების მხრიდან აღინიშნა, რომ მიწისქვეშა საინჟინრო ქსელების ჩაწყობა-გადაკეთებაზე, ასევე მიწის გათხრითი სამუშაოების წარმოების დროს პარკების, სკვერების, დასასვენებელი ზონებისა და სართო სარგებლობის ეზოების დაზიანების ან/და პირვანდელ მდგომარეობაში არასათანადო აღდგენის გამო სამსახურის მიერ შედგა <u>54</u> ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი (საჯარიმო ქვითარი), მათ შორის **38** სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ განსაზღვრული პირობების დარღვევის (შეუსრულებლობისთვის) გამო. **11** ავარიული/გადაუდებელი სამუშაოების წარმოებისას ტერიტორიის არასათანადოდ აღდგენისთვის, ხოლო **5** საჯარიმო ოქმი უნებართვო მიწის გათხრით სამუშაოების წარმოებაზე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სამართალდარღვევების გამოვლენისას დაფიქსირდა მხოლოდ გრუნტიანი საფარისა და გამწვანების ზოლის მცირედი დაზიანება. რაც შეეხება ხე-ნარგავების (მწვანე ნარგავები) მოჭრას ან/და გადანერგვას, მსგავსი შემთხვევა ზემოაღნიშნული სამართალდარღვევების გამოვლენისას არ დაფიქსირებულა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ინსპექციის მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიშის მოსმენის შემდეგ, სხდომა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

კითხვები დასვეს:

ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ - აკუსტიკური ხმაურის ნორმების დარღვევის გამოვლენის პროცედურების შესახებ.

ბ-ნმა ვ. სურგულაძემ - პიროტექნიკური ნაკეთობების გამოყენებასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციების შესახებ.

ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ - მშენებლობის პერიოდში, ობიექტის (კონსტრუქციის) შემოწმების შესახებ.

ქ-ნმა ს. კობალაძემ - შენობათა სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვის შესახებ.

ბ-ნმა ლ. ბოჟაძემ და ბ-ნმა ლ. აბაშიძემ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ინსპექციის სტრუქტურის და საკადრო რესურსის შესახებ.

ბ-ნმა ალ. ხუჯაძემ - სამშენებლო/ინერტული ნარჩენის განთავსების არეალების შესახებ.

დასმულ შეკითხვებს უპასუხა ბ-ნმა ზ. მამსიკაშვილმა. გაცემული პასუხების თანახმად:

- მუნიციპალური ინსპექციის ეკიპაჟი მხოლოდ შეტყობინების საფუძველზე გადის აკუსტიკური, მათ შორის პიროტექნიკური ნაკეთობების გამოყენებით გამოცემული ხმაურის ნორმების დარღვევის ადგილზე.
- მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ, „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების" დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების, ასევე, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების შესაბამისად ხორციელდება შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების, მათ შორის, სახანძრო უსაფრთხოებისა და ხარისხობრივი ნორმების კონტროლი. შესაბამისად, მთავრობის №255 დადგენილებით, შენობა-ნაგებობების ხარისხობრივი მდგომარეობის საექსპერტო შეფასებას ახორციელებს აკრედიტებული ინსპექტირების ორგანო ან /და სერტიფიცირებული ექსპერტი.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალურ ინსპექციაში დაახლოებით 300-მდე თანამშრომელი არის დასაქმებული. ყველა რაიონული განყოფილებაში არის ოპერატიული რეაგირების ეკიპაჟი. ამ ეტაპზე, გამოცხადებულია ვაკანსია 17 მიმართულების სხვადასხვა პოზიციაზე.
- სამშენებლო/ინერტული ნარჩენის განთავსება ხდება მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე - გლდანის პოლიგონზე.

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა ვ. სურგულაძემ - აკუსტიკური, მათ შორის, პიროტექნიკური ნაკეთობების გამოყენებით გამოცემული ხმაურის ნორმების გამკაცრების აუცილებლობის შესახებ.

ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ - სამშენებლო ნარჩენების განთავსების, სეპარირებისა და გადამუშავების, ასევე, სამშენებლო ნარჩენებით ხევების დაბინძურების პრობლემებისა და კერების თაობაზე.

კომისიამ ცნობად მიიღო შპს „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ, გ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ნიკოლოზ კახეთელიძე